ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ **N1703/01**

|გამარტივებული შესყიდვა, მონეტარული ზღვრების დაცვით|

საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, მე-3 მუხლის 1 პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის შესაბამისად.

CPV79410000

თბილისი 17 მარტი 2022 წელი

შემსყიდველი - **შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“** , წარმოდგენილი მისი დირექტორის **ალექსი ზანდარაშვილის** სახით;

საიდენტიფიკაციო კოდი: 404482537;

მისამართი, ტელეფონი: მის: იურიდიული: ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ. #12, ფაქტიური: ქ. თბილისი, თემქა მე-9კვ;

ტელეფონი: 2 200 122;

საბანკო რეკვიზიტები: სს „თი ბი სი ბანკი“, ბანკის კოდი - TBCBGE22, ა/ა GE58TB 7353 4360 8010 0004.

„მიმწოდებელი“ - **შპს „გ. ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“,** წარმოდგენილი მისი დირექტორის **რეზო კობახიძე** სახით;

მისამართი: ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, უზნაძის ქ., №78;

საიდენტიფიკაციო კოდი: 202057219;

ტელეფონი: 595 22 33 66;

საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი“, ბანკის კოდი: LBRTGE22, ა/ა: GE67LB0111152451378000.

1. ტერმინთა განმარტებები

„ხელშეკრულებაში“ გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში „ხელშეკრულება“) – „შემსყიდველსა“ და „მიმწოდებელს“ შორის დადებული „ხელშეკრულება“, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე სხვა დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში მინიშნებებია;

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - თანხა, რომლის გადახდის ვალდებულება ეკისრება „შემსყიდველს“ „მიმწოდებლის“ მიერ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის;

1.3. „დღე,“ „კვირა,“ „თვე“ - სამუშაო დღე, კვირა, თვე;

1.4. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს „მომსახურების“ მიწოდებას „ხელშკრულების“ პირობების შესაბამისად;

1.6. „მხარეები“ – „შემსყიდველი“, რომელიც ახორციელებს შესყიდვას და „მიმწოდებელი“, რომელიც ახორციელებს „მომსახურების” მიწოდებას, „ხელშეკრულების“ პირობების გათვალისწინებით;

1.7. „მომსახურება“ – „ხელშეკრულების“ მე-2 მუხლით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი;

1.8. „ტექნიკური დოკუმენტაცია“ – „მიმწოდებლის“ მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია და ფასების ცხრილი წარმოადგენს „ხელშეკრულების“ განუყოფელ ნაწილს და რომლის ნამდვილობაზეც პასუხს აგებს „მიმწოდებელი“ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

1.9. „ინსპექტირება“ – „ხელშეკრულების“ პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა;

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“-ს დაქვემდებარებაში არსებული ახალქალაქის სასადილოში HACCP კვლევის ჩატარება, HACCP სისტემის შემუშავების და დანერგვის მომსახურების (79410000 - ბიზნესსა და მენეჯმენტთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურებები) შესყიდვა.

2.2. „მომსახურების“ დეტალური აღწერა, რაოდენობა, ტექნიკური მახასიათებლები და ღირებულება თან ერთვის „ხელშეკრულებას“ დანართის N1-ის სახით.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. „ხელშეკრულების“ საერთო ღირებულება შეადგენს **4 500** (ოთხი ათას ხუთასი) ლარს.

3.2. „ხელშეკრულების“ საერთო ღირებულება მოიცავს „მიმწოდებლის“ მიერ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებულ „მიმოწოდებლის“ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს მათ შორის დღგ-ს.

4. მომსახურების გაწევის პირობები:

4.1. „მომსახურების“ გაწევის ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2022 წლის 17 ივნისისა (3 თვე).

5. მომსახურების გაწევის ფორმა და ადგილი

5.1. შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“-ს დაქვემდებარებაში არსებული ახალქალაქის სასადილო (მისამართი- ქ. ახალქალაქი).

5.2. მომსახურება განხორციელდება საჭიროებისამებრ ადგილზე, ხუთეტაპად (ანაზღაურებადი იქნება მხოლოდ შემდეგი ოთხი ეტაპი: გეპ ანალიზი, თანამშრომლების გადამზადება HACCP სისტემის მოთხოვნების შესაბამისად, HACCP სისტემის დოკუმენტაციის შემუშავება, HACCP სისტემის დანერგვა, კონსულტაციები შესაბამის თანამშრომლებთან. ხოლო მეხუთე ეტაპი HACCP სისტემის შიდა აუდიტის ჩატარება განხორციელდება ანაზღაურების გარეშე).

5.3. ახალი კორონავირუსის (covid 19) გავრცელებასთან დაკავშირებით, ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, მიმწოდებელი ვალდებულია, მომსახურების გაწევის პროცესში უზრუნველყოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული რეკომენდაციების დაცვა.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება „შემსყიდველისა” და „მიმწოდებლის“ უფლებამოსილი წარმომადგენლ(ებ)ის მიერ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებით.

6.2. „შემსყიდველის” მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“-ს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსის მიერ გამოყოფილი შესაბამისი უფლებამოსილი პირი.

7. ანგარიშსწორება

7.1. „მომსახურების“ ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ეროვნულ ვალუტა - ლარში.

7.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მომსახურების თითოეული ეტაპის დასრულების შემდეგ მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, კერძოდ:

პირველი ეტაპი-ხელშეკრულების ღირებულების 10% (დღგ-ს ჩათვლით);

მეორე ეტაპი-ხელშეკრულების ღირებულების 20% (დღგ-ს ჩათვლით);

მესამე ეტაპი-ხელშეკრულების ღირებულების 30% (დღგ-ს ჩათვლით);

მეოთხე ეტაპი-ხელშეკრულების ღირებულების 40% (დღგ-ს ჩათვლით).

7.3. ანგარიშსწორება განხორციელდება თითოეული მომსახურების ეტაპის დასრულების შემდეგ მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა.

7.4. „მომსახურების“ ღირებულების და ოდენობის სადაოდ გახდომის შემთხვევაში, ძირითად საანგარიშო დოკუმენტს წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულება, „შემსყიდველის“ და „მიმწოდებელის“ ან მათი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი სასაქონლო ზედნადები ან/და საგადასახადო ა/ფაქტურა ან/და მიღება-ჩაბარების აქტი და გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები.

8. მხარეთა ვალდებულებები

8.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

8.1.1. უზრუნველყოს ,,შემსყიდველისათვის“ „მომსახურების” გაწევა (დანართ N1-ში არსებული პროგრამის ეტაპების მახასიათებლების შესაბამისად) დროულად და ხარისხიანად;

8.1.2. უზრუნველყოს „შემსყიდველის“ მიერ ინსპექტირებისას გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლოვანებების აღმოფხვრა დაუყოვნებლივ.

8.1.3. დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8.1.4. მიმწოდებელმა შესრულებულ მომსახურებაზე უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია.

8.1.5. სამუშაოს შესრულებისას გამოყენებული, შემუშავებული და თანამშრომლებისთვის მოწოდებული ყველა დოკუმენტები შემსყიდველ ორგანიზაციას უნდა მიეწოდოს, როგორც ელექტრონული ვერსიის, ასევე ამობეჭდილი დოკუმენტის/სახელმძღვანელოს სახით. ყველა დოკუმენტი, რომელიც მოწოდებული იქნება ელექტრონული ვერსიით, შესრულებული უნდა იყოს Microsoft Word (რედაქტირებად) ფორმატში.

8.1.6. პრეტენდენტი ვალდებულია სამუშაოს დასრულების და ჩაბარების შემდეგაც (1 წლის განმავლობაში) ითანამშრომლოს კომპანიასთან საჭიროების შემთხვევაში, კერძოდ HACCP-ის სისტემის ფარგლებში გაუწიოს კონსულტაციები.

8.1.7. ორგანიზაციამ უნდა აიღოს სრული ვალდებულება სსიპ ,,სურსათის ეროვნული სააგენტოს“ მიერ HACCP-ის სისტემის ინსპექტირების პროცესში გამოვლენილი შეუსაბამობების კორექტირების განსახორციელებლად. იმ შემთხვევაში, თუ სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტოს“ მიერ სახელმწიფო კონტროლის განხორციელების შედეგად დადგინდება დანერგილი HACCP-ის სისტემის შეუსაბამობა საქართველოს კანონმდებლობასთან, მაშინ მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ნებისმიერი იმ დამატებითი ხარჯების გაწევა (გარდა ინფრასტრუქტურული ხარჯებისა), რაც საჭიროა დანერგილი HACCP-ის სისტემის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

8.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

8.2.1. მოახდინოს ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან” ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

8.2.2. უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

8.2.3. განახორციელოს კონტროლი შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“-ს ინსპექტირების ჯგუფის საშუალებით.

8.2.4. განიხილოს მიმწოდებლის შენიშვნები და დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება (რამაც შეიძლება გამოიწვიოს HACCP-ის სისტემის დანერგვის შეფერხება).

9. მხარეთა უფლებები

9.1. „შემსყიდველს” უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებელი” ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას. ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყვეტილად ითვლება, აღნიშნულის შესახებ, „მიმწოდებლისადმი“ გაგზავნილ წერილობით შეტყობინებაში მითითებული ვადიდან.

10. ხელშეკრულების ინსპექტირება

10.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს „მიმწოდებლის“ მიერ „ხელშეკრულების“ შესრულების ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირ(ებ)ს, ხოლო „მიმწოდებელი“ ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ინსპექტირების განხორციელებაში.

10.2. ინსპექტირებას განახორციელებს შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“-ს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი მიერ გამოყოფილი შესაბამისი უფლებამოსილი პირ(ებ)ი / შემსყიდველი მისი წარმომადგენლის მეშვეობით ახდენს შესრულებული მომსახურების ინსპექტირებას.

10.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსით უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა ნაკლის აღმოფხვრა.

10.4. ინსპექტირების განმახორციელებელი პირ(ებ)ის უფლება-მოვალეობები:

10.4.1. „მიმწოდებლის“ მიერ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების ხარისხისა და მიწოდების ვადების „ხელშეკრულების“ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, მომსახურების გაწევის სათანადო კონტროლის/ზედამხედველობის განხორციელება. ასევე HACCP სისტემის შიდა აუდიტის ჩატარება უნდა განხორციელდეს ორივე მხარის მონაწილეობით.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2. ამ ხელშეკრულებაში „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული “შემსყიდველისა” და/ან „მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და “მომსახურების” მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

12.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია წინასწარ. ამავე დროს "შემსყიდველი" არ არის ვალდებული წარუდგინოს „მიმწოდებელს" რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

12.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

12.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

12.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 10 (ათი) დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო „მხარეები" შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

14.1. იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველი", „მიმწოდებელს" არ გადაუხდის გაწეული მომსახურების ღირებულებას ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში და ასეთი გადაუხდელობა გრძელდება „მიმწოდებლის" მიერ აღნიშნულის თაობაზე წერილობითი შეტყობინების გაგზავნიდან 10 (ათი) სამუშო დღეზე მეტი ვადით, „მიმწოდებელი" უფლებამოსილია „შემსყიდველს" დააკისროს პირგასამტეხლო გადასახდელი ძირითადი თანხის 0,02% ყოველი ვადაგადაცილებულ დღეზე, მაგრამ არანაკლებ 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

14.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან/ და შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში შემსყიდველი" უფლებამოსილია „მიმწოდებელს" დააკისროს პირგასამტეხლო 0,02% მაგრამ არანაკლებ 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

14.3. „შემსყიდველი" უფლებამოსილია „მიმწოდებელისათვის" პირგასამტეხლოს დარიცხვის შემთხვევაში, ანგარიშსწორებისას, „მიმწოდებელს" გამოუქვითოს პირგასამტეხლოს ოდენობა, რაც ჩაითვლება „მიმწოდებელის" მიერ დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდად.

14.4. მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის პირობებს ვერ შეასრულებს ან/და დაარღვევს კეთილსინდისიერების პრინციპს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მიმწოდებელი ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის/შეუსრულებლობისთვის დააჯარიმოს ხელშეკრულების საერთო თანხის 5%-ის ოდენობით.

14.5. საჯარიმო სანქციების გადახდა „მხარეებს" არ ათავისუფლებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1. „შემსყიდველმა” და „მიმწოდებელმა” ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, რომელიც წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით.

15.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში „შემსყიდველი” და „მიმწოდებელი” ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1. „შემსყიდველი” უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

16.2. „ხელშეკრულების“ ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს” ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

16.3. „ხელშეკრულება“ აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

17. ხელშეკრულების შესრულება

17.1. „ხელშეკრულება“ შესრულებულად ჩაითვლება „შემსყიდველის“ მიერ „ხელშეკრულების“ მე-5 მუხლით გათვალისწინებული პირობების შესრულების შემდეგ.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

18.1. წინამდებარე „ხელშეკრულება“ ძალაში შედის 2022 წლის 17 მარტიდან.

18.2. „ხელშეკრულების“ მოქმედების ვადა განისაზღვრება 2022 წლის 17 ივლისის ჩათვლით.

19. განსაკუთრებული პირობები

19.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ერთ ეგზემპლარად და მხარეთა მიერ შესრულებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა ან/და დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული შტამპით, რომელსაც აქვს იურიდიული ძალა.

20. მხარეები

შემსყიდველი

შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“-ს

დირექტორი

ალექსი ზანდარაშვილი

მიმწოდებელი
შპს „გ.ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“-ს

დირექტორი

რეზო კობახიძე

LTD State Catering Service

G.Natadze Institute of Sanitation, Hygiene and Medical Ecology Research LLC

Digitally signed by G.Natadze Institute of Sanitation, Hygiene and Medical Ecology Research LLC
Date: 2022.03.17 17:39:00 +04'00'

პროგრამის ეტაპები		**ეტაპების მახასიათებლები**	**ერთეულის ღირებულება (ლარი)**	**ანგარიშსწორება**
N	**ეტაპის დასახელება**			
1	**გეპ ანალიზი**	შპს ,,სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“-ის დაქვემდებარებაში არსებული ახალქალაქის სასადილოში სურსათის უვნებლობის სისტემის არსებულ პრაქტიკისა და HACCP სისტემის მოთხოვნებს შორის სხვაობის დადგენა, შესაბამისი ანგარიშის მომზადება, "სამოქმედო გეგმის" დოკუმენტად გაფორმება.	450.00	სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასის 10% დღგ-ს ჩათვლით
2	**თანამშრომლების გადამზადება HACCP სისტემის მოთხოვნების შესაბამისად**	ქართულენოვანი ტრენინგი შპს "სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა"-ის დაქვემდებარებაში არსებული ახალქალაქის სასადილოში დასაქმებულ თანამშრომელთათვის, რომელიც უნდა მოიცავდეს ადგილზე განხორციელებულ პრაქტიკულ სამუშაოებს : ა) სამზარეულოში და სამზარეულოსთან რაიმე სახის კავშირის მქონე (25-30) თანამშრომლისთვის სურსათის ჰიგიენის პრინციპების გაცნობითი ტრენინგი (არანაკლებ 5 საათი); ბ) მზარეულის, მზარეულის თანაშემწის, მენეჯერის, საწყობის უფროსის ტრენინგს, ჯამში 25-30 თანამშრომლისთვის HACCP სისტემის მოთხოვნების შესასწავლად (არანაკლებ 16 საათი); გ) HACCP სისტემის შიდა აუდიტორის კურსი საგენტოს 5-6 თანამშრომლისთვის. (არანაკლებ 16 საათი).	900.00	სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასის 20% დღგ-ს ჩათვლით
3	**HACCP სისტემის დოკუმენტაციის შემუშავება**	სურსათის უვნებლობის წინასწარი პროგრამების შემუშავება და დანერგვა. პროდუქტის სპეციფიკაციების განსაზღვრა/დოკუმენტირება. მიკვლევადობის სისტემის ჩამოყალიბება. წინასწარი პროგრამები უნდა მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს შემდეგი საკითხებით: . ჯვარედინი დაბინძურების პრევენცია ; . კომუნალური საშუალებების კონტროლი; . ნარჩენების კონტროლი; . მოწყობილობების შესაფერისობა, დასუფთავება და ტექ-მომსახურება ; . ნედლეულის შესყიდვა; . დასუფთავება სანიტარული დამუშავება . მავნებლების კონტროლი ; . პერსონალის ჰიგიენა; . პროდუქტების შენახვა. კონსულტანტმა დოკუმენტურად უნდა გააფორმოს სურსათის უვნებლობის ყველა წინასწარი პროგრამა, შეადგინოს პროცედურები (SOPS), შესაბამისი პროგრამის გეგმა-გრაფიკები და ჩანაწერების წარმოებისთვის შესაბამისი ფორმები. ამ ეტაპზე, კონსულტანტმა უნდა იმუშაოს სურსათთან შეხებაში მყოფ ყველა თანამშრომელთან, რათა გააცნოს მათ წინასწარი პროგრამებით (PRP) დადგენილი მოთხოვნები. ამისათვის კონსულტანტმა უნდა გამოიყენოს: . ინდივიდუალური კონსულტაციები - ცალკეული წინასწარი პროგრამა (PRP) განხილულ უნდა იქნას შესაბამისი პროგრამის შედეგიან ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ პირებთან, რათა მათ შეძლონ პროცედურებში მითითებული მოთხოვნის პრაქტიკული განხორციელება; . მონიტორინგი/შეფასება - კონსულტანტმა უნდა მოამზადოს GMP/GHP ვერიფიკაციის ჩეკლისტები (შემოწმების ფურცლები) და სურსათის უვნებლობაზე პასუხისმგებელ პირ(ებ)ს ასწავლოს მათი გამოყენება. მიკვლევადობის სისტემის ჩამოყალიბება სპეციფიკაციების განსაზრვრა კონსულტანტმა უნდა განსაზღვროს და დოკუმენტურად გააფორმოს სურსათთან დაკავშირებული სპეციფიკაციები (მოთხოვნის შეასაბამისად), როგორც ნედლეულისთვის, ასევე პროდუქტისთვის. აგრეთვე ჩამოაყალიბოს მიკვლევადობის სისტემა და ჩაატაროს მიკვლევადობის ტესტი.	1350.00	სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასის 30% დღგ-ს ჩათვლით
4	**HACCP სისტემის დანერგვა: კონსულტაციები შესაბამის თანამშრომლებთან.**	HACCP სისტემის ჩამოყალიბება HACCP სისტემის ჩამოსაყალიბებლად, კონსულტანტმა უნდა განახორციელებს HACCP სისტემის 12 ეტაპის და მათ შორის 7 პრინციპის პრაქტიკული განხორციელება. კონსულტანტმა უნდა მოამზადოს ,,HACCP-ის სახელმძღვანელო” და სურსათის უვნებლობის ჯგუფთან ერთად განახორციელოს: - პროდუქტების აღწერა, სპეციფიკაციების განსაზღვრა (მოთხოვნის შესაბამისად), ან კორექტირება; - ტექნოლოგიური საქმეების შემუშავება და მათ ვერიფიკაცია - ჩაატაროს საფრთხის ანალიზი - განსაზღვროს კრიტიკული საკონტროლო წერტილები (CCP) - განსაზღვროს კრიტიკული ზღვრები და კონტროლის ზომები, დაადასტუროს მათი ვალიდაცია; - დაადგინოს CCP მონიტორინგის სისტემა; - დაადგინოს კორექცია/მაკორექტირებელი ღონისძიებები; - განსაზღვროს ვერიფიკაციის პროცედურები; - განსაზღვროს შესაბამისი ჩანაწერები. HACCP კვლევის ჩატარების და პროცესებზე კონტროლის სრული ჩამოყალიბების შემდეგ, კონსულტატმა უნდა გააფორმებს ,,HACCP გეგმა“ დოკუმენტურად შპს ,,სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“-ის დაქვემდებარებაში არსებული ახალქალაქის სასადილოში. HACCP კვლევის ჩატარების და HACCP სისტემის დანერგვის სრულ ფაზაში, კონსულტანტებმა უნდა იმუშაონ სურსათის უვნებლობის ჯგუფთან ერთად.	1800.00	სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასის 40% დღგ-ს ჩათვლით
5	**HACCP სისტემის შიდა აუდიტის ჩატარება**	შპს "სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა"-ს დაქვემდებარებაში არსებული ახალქალაქის სასადილოში HACCP სისტემის შიდა აუდიტის ორგანიზება და ჩატარება კომპანიის სურსათის უვნებლობის ჯგუფთან ერთად. იმისათვის, რომ მოხდეს HACCP სისტემის ვერიფიკაცია/გადამოწმება, შესაბამისი ანგარიშის მომზადება და რეკომენდაციის გაცემა HACCP ინსპექტირების მოსაწვევად.	-	-
		სულ (ჯამი დღგ-ს ჩათვლით)	**4500.00**	